

უნივერსიტეტების დიდი ქარტია

MAGNA CARTA UNIVERSITATUM

ბოლონია, იტალია
1988 წლის 18 სექტემბერი

პრეამბულა

ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმებამდე 4 წლით ადრე ევროპის უნივერსიტეტების რექტორები შეიკრიბნენ ბოლონიაში, ევროპის უძველესი უნივერსიტეტის ცხრაასი წლისთავის აღსანიშნავად იმ იმედითა და რწმენით, რომ ადამიანები და სახელმწიფოები მნიშვნელოვანწილად გააცნობიერებენ უნივერსიტეტების როლს. ევროპის უნივერსიტეტების ქვემოთ ხელისმომწერი რექტორები თვლიან, რომ

1) ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ კულტურულ, სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე, რომელიც უნივერსიტეტების კულტურულ, სასწავლო და კვლევით ცენტრებში მიმდინარეობს;

2) უნივერსიტეტების დანიშნულებაა ახალგაზრდა თაობებს შორის ცოდნის გავრცელება და ეს დანიშნულება დღეს მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს. საზოგადოების კულტურული, სოციალური და ეკონომიკური მომავალი საჭიროებს სერიოზულ ინვესტიციებს უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად;

3) უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მომავალი თაობები ისეთი განათლებით, რომელიც მათ და, მათი დახმარებით სხვებსაც, ასწავლის ბუნებრივი გარემოს ჰარმონიისა და თავად სიცოცხლის პატივისცემას.

ევროპის უნივერსიტეტების ქვემოთ ხელისმომწერი რექტორები, ყველა სახელმწიფოსა და ერის წინაშე ვაცხადებთ იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც ამიერიდან საფუძვლად დაედება უნივერსიტეტების მუშაობას.

ფუნდამენტური პრინციპები

1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, გეოგრაფიული და ისტორიული მემკვიდრეობის გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ

საზოგადოებებში. იგი ქმნის, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით. არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან;

2. უნივერსიტეტში სწავლება და სამეცნიერო კვლევა განუყოფელი უნდა იყოს, რათა ის არ ჩამორჩეს საზოგადოების მზარდ მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს;

3. კვლევისა და სწავლების თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია. მთავრობებმა და უნივერსიტეტებმა თავიანთი მხრიდან შეძლებისამებრ უნდა უზრუნველყონ ამ ფუნდამენტური მოთხოვნის პატივისცემა.

4. უნივერსიტეტი გმობს შეუწყნარებლობას და გახსნილია დიალოგისათვის; ის იდეალური ასპარეზია ისეთი მასწავლებლებისათვის, რომლებიც მზად არიან სხვას გაუზიარონ თავისი ცოდნა, განავითარონ იგი კვლევისა და ინოვაციების საშუალებით და გადასცენ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ამ ცოდნით გამდიდრების უფლება, სურვილი და უნარი;

უნივერსიტეტი არის ევროპული ჰუმანისტური ტრადიციების მემურვე. მისი მუდმივი ზრუნვის საგანია უნივერსალური ცოდნის მოპოვება; თავისი მიზნების შესასრულებლად იგი სცდება გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს და ადასტურებს სხვადასხვა კულტურათა შორის ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგავლენის სასიცოცხლო აუცილებლობას.

განხორციელების გზები

ზემოთ მოყვანილი პრინციპების გათვალისწინებით, ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა თანამედროვე პირობების შესაფერისი ეფექტური საშუალებების გამოყენება:

1. კვლევასა და სწავლებაში თავისუფლების დაცვა; აღნიშნული თავისუფლების სარეალიზაციოდ აუცილებელი საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისათვის

2. მასწავლებელთა მოზიდვა და მათი სტატუსის განსაზღვრა უნდა ექვემდებარებოდეს კვლევისა და სწავლების განუყოფლობის პრინციპს;

3. ყოველმა უნივერსიტეტმა – კერძო გარემოებების სათანადო გათვალისწინებით – უნდა უზრუნველყოს სტუდენტების თავისუფლებების დაცვა

და მათ მიერ ისეთი გარემოთი სარგებლობა, რომელშიც შესაძლებელია კულტურისა და ცოდნის შექმნა;

4. უნივერსიტეტები – განსაკუთრებით ევროპაში – ინფორმაციისა და დოკუმენტების ურთიერთგაცვლასა და სწავლების გაუმჯობესებისათვის გახშირებულ ერთობლივ პროექტებს განიხილავენ, როგორც აუცილებელს ცოდნის სტაბილური განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარე, ისევე როგორც თავიანთი არსებობის ადრეულ ეტაპზე, უნივერსიტეტები ხელს უწყობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას. მეტიც, უნივერსიტეტები ეკვივალენტური სტატუსის, წოდებების, გამოცდებისა (ეროვნული დიპლომებისადმი უნდობლობის გარეშე) და სტიპენდიების მინიჭების ზოგად პოლიტიკას მიიჩნევენ მნიშვნელოვან ფაქტორად დღევანდელ პირობებში თავიანთი მისიის განსახორციელებლად.

ქვემოთ ხელისმომწერი რექტორები, მოქმედებენ უნივერსიტეტების სახელით, გააკეთებენ ყველაფერს, რათა ყველა სახელმწიფომ და დაინტერესებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თავიანთი პოლიტიკა ჩამოაყალიბოს ამ დიდი ქარტიის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტების თავისუფლად გამოვლენილ და გაცხადებულ ერთსულოვან სურვილს გამოხატავს.